სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებულობა ინკლუზიურ განათლებაში

ნათია შერბაკოვა

ქრისტინე გელბაქიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა - სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა ბარქაია, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლების მაგისტრი, MPhil, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის ფარგლებში განისაზღვრა სსსმ და შშმ მოსწავლეთა მშობლების ინფორმირებულობის დადგენა ინკლუზიური განათლების შესახებ. ამ მხრივ გამოვიკვლიეთ რა ინფორმაციას ფლობენ მშობლები საკუთარი შვილების უფლებების რეალიზების შესაძლებლობის შესახებ. კვლევის მეთოდოლოგიად განისაზღვრა თვისებრივი კვლევა. ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ და შეირჩა უკიდურესი ქეისების შესწავლა. ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რამდენად ჰქონდათ გააზრებული მშობლებს საკუთარი როლი, სკოლის როლი, მასწავლებლების როლი სსსმ და შშმ მოსწავლის საგანმანათლებლო მისაწვდომობის უზრუნველყოფაში. კვლევის შედეგად კი გამოვლინდა მშობელთა ინფორმირებულობის საჭიროება სსსმ და შშმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო ჩართულობისათვის. კვლევამ გამოავლინა განსხვავებული შედეგები ქალაქ თბილისისა და ქალაქ ტყიბულის მშობლებს შორის ინკლუზიური განათლების მისაწვდომობის ინფორმირებულობაზე. შედეგების გათვალისწინებით გაწერილი რეკომენდაციები კი დაეხმარება სსსმ ან შშმ მოსწავლეთა მშობლებს ინფორმირებულობის ამაღლებაში ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებაში.

მადლობა

ცირა ბარქაიას, სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომლის რჩევები და მოსაზრებები ყოველთვის გონივრული და მნიშვნელოვანი იყო, რომელიც დახმარებას გვიწევდა კვლევის ყველა ეტაპზე.

გიგა სოფრომაძეს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციისა და დღის ცენტრის ,,ნაბიჯი ტყიბული'' ხელმძღვანელს, რომელიც დაგვეხმარა რესპოდენტების შერჩევასა და მათთან დაკავშირებაში.

შოთა მალაზონიას, სსიპ ქალაქ თბილისის მე-60 საჯარო სკოლის დირექტორს, რომელიც დაგვეხმარა რესპოდენტებთან დაკავშირებაში.

კურსის ,,პედაგოგიური საქმიანობის კვლევის საფუძვლები '' ლექტორს ნათია ანდღულაძეს, რომლის ლექციებზე მიღებული ცოდნა და რჩევები დაგვეხმარა კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაში.

რესპოდენტებს, რომლებიც დაგვთანხმდნენ კვლევაში მონაწილეობაზე.